



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით

საქმე №3ბ/1129-14  
N330310013343655

02 მარტი, 2015 წელი  
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი  
მოსამართლეები - ირაკლი შენგელია  
თეა თადაშვილი

სხდომის მდივანი - ბეატრიჩე პაპანდოპულოვი

აპელანტი (მოსარჩელე)- ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ აღმასრულებელი  
დირექტორი - ნინო გუჯარაიძე  
წარმომადგენელი - ირმა მახათაძე

აპელანტი (მოპასუხე) - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტრო  
წარმომადგენელი - თეიმურაზ მემველიანი

აპელანტი (მოპასუხე) - საქართველოს მთავრობა  
წარმომადგენელი - ზაზა თაქთაქიშვილი, ქეთევან კრაწაშვილი

აპელანტი (მესამე პირი) - შპს „R.M.G.GOLD“  
წარმომადგენელი - თეიმურაზ ოჩიგავა

მოწინააღმდეგე მხარე- დავით სახვაძე

მესამე პირი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო  
წარმომადგენელი - თამარ ქათამაძე

მესამე პირი - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტო  
წარმომადგენელი - თეა ონიანი

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება

აპელანტ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება

აპელანტების საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობისა და შპს „R.M.G.GOLD“-ის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:  
*გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი*

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივასა“ და დავით სახვაძის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულება დავით სახვაძისა და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და საქართველოს მთავრობას სოლიდარულად დაეკისრათ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:  
*უდავო ფაქტობრივი გარემოებები*

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა 2006 წლის 30 მარტს გამოსცა ბრძანება №3/133 „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“. მითითებული ბრძანების დანართში ჩამოთვლილ ობიექტებს, მათ შორის, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს, მდებარე ბოლნისის რაიონში, მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში. ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას დაევალა, უმოკლეს ვადაში სამინისტროსათვის წარედგინა შესაბამისი დასკვნა დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების თაობაზე, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელებისა და დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების მიზნით გაეგზავნა ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს ბრძანების ასლი და ეთხოვათ, წარედგინათ ძეგლებისათვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე თავიანთი მოსაზრებები. ამავე ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს დაევალა მოემზადებინა დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (კულტურის უძრავი ძეგლისათვის) „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და „უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ფორმის, მათი შევსების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2003 წლის 22 ივლისის ბრძანებით გათვალისწინებული საადრიცხვო დოკუმენტაცია.

2.2. „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე საყდრისს, უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს, აგების თარიღი ძვ.წ.ად. 3018-2929წწ. მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია. მითითებული ბრძანებულების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია.

2.3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა 2006 წლის 17 ივლისს გამოსცეს ერთობლივი ბრძანება №3/225-№1-1/616

„გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“. მითითებული ბრძანებით დამტკიცდა დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა.

2.4. 2013 წლის 26 აპრილს კომპანია „R.M.G.GOLD“-მა 034/13 განცხადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ითხოვა, დავალეოდა შესაბამის უწყებებს, მომხდარიყო საყდრისის ძეგლის გადატანა. ამასთან, კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას, თავისი სახსრებით განეხორციელებინა ძეგლის გადატანა იმგვარად, რომ არ დაკნინებოდა ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულება.

მითითებული განცხადების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ მინისტრის 2013 წლის 1 მაისის №14962 რეზოლუციით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს დაევალა განცხადების განხილვა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფა. მითითებული განცხადება სამინისტროში დარეგისტრირდა 2013 წლის 2 მაისს.

2.5. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 28 მაისს გამოსცა ბრძანება №03/82 „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“. მითითებული ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციის შემუშავების მიზნით, შეიქმნა კომისია და განისაზღვრა მისი შემადგენლობა.

2.6. „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი). მითითებული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების

დეპარტამენტს და სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა უზრუნველყოთ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა უნდა განხორციელდეს 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

2.7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 8 აგვისტოს გამოსცა ბრძანება №03/130 „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. მითითებული ბრძანების თანახმად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა განხორციელებინა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგი და ამ მიზნით ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში შეექმნა სათანადო კომისია, რომლის ხელმძღვანელიც შეირჩეოდა კომპანია „R.M.G.GOLD“-ის მიერ წარდგენილი კანდიდატურებისაგან, ასევე, სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით, ამავე ბრძანებით, კომპანია „R.M.G.GOLD“-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ეწარმოებინა ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებდა, ან არ შეუქმნიდა დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

2.8. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“, დავით სახვაძემ და სხვებმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს მთავრობას და მოითხოვეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.9. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობა.

2.10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე ეთქვა უარი.

2.11. დავით სახვაძემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობა.

2.12. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავით სახვაძეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე ეთქვა უარი.

2.13. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულებით გაუქმდა „გონიო-ავსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის №3/225-№1-1/616 ერთობლივი ბრძანების მე-2 პუნქტი (დაბა საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა) და მისი დანართი 2.

**დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:**

სასამართლომ განმარტა შემდეგი:

2.14. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლომ, მიიჩნია, რომ მოსარჩელების მიერ სადავოდ ქცეული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430

განკარგულება წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს სადავო აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტების გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სადავო საკითხთან დაკავშირებულ სხვა საკანონმდებლო აქტებთან.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმომოხილვი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. მითითებული საკანონმდებლო აქტის მე-3 მუხლის „ი“ და „ი.ა“ პუნქტების თანახმად, ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (ძეგლი), კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უძრავი ან მოძრავი ნივთი), რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროში იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო (შემდგომში – საბჭო), მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საბჭო იხილავს ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხებს, ხოლო მე-7 პუნქტის თანახმად, საბჭოს გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამავე საკანონმდებლო აქტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული სამართლებრივი აქტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის, მათთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების, ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიის დამტკიცებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამცავი ზონების დადგენის შესახებ მათი ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად გამოცემულად.

2.15. სადავო არ არის ის გარემოება, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების საფუძველზე საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს, მდ. ბოლნისის რაიონში, მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი. ბრძანების სამართლებრივი საფუძველი იყო სადავო პერიოდში მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-16 და მე-18 მუხლები. მითითებული საკანონმდებლო აქტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს მიენიჭება უძრავი ძეგლის სტატუსი, თუ მას აქვს ამგვარი ძეგლის მახასიათებელი ნიშნები, მე-2 პუნქტის თანახმად კი, უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უძრავი ძეგლის სტატუსს ანიჭებს სამინისტრო კომისიის დასკვნის საფუძველზე, ხოლო მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავ ძეგლს კატეგორია ენიჭება კომისიის

რეკომენდაციის საფუძველზე, მე-4 პუნქტის თანახმად კი, უძრავ ძეგლს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიას სამინისტროს წარდგინებით ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 7 ნოემბერს გამოსცა ბრძანება №665 „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საყდრის, უძველეს ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს, რომლის აგების თარიღად მითითებულია ძვ.წ. აღ. 3018-2929 წელი, მიანიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მადაროს მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. მართალია, მითითებული აქტი არ წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მაგრამ აქტით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაასრის მიხედვით, იგი არის უფლების დამდგენი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს საგნის-კონკრეტულ შემთხვევაში საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს სამართლებრივად მნიშვნელოვან მოვლენას - უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებას. კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შემდეგ ობიექტი შეტანილ იქნა უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში. როგორც სადავო პერიოდში მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონით, ისე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიული დანაწესის მიხედვით, ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება, სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ მინისტრის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, რომლის გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 5 ივლისს გამოსცა ბრძანება №03/108, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მადაროს მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. მითითებული ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №197 დადგენილებით დამტკიცებული

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების“ მე-9 მუხლის თანახმად, მინისტრს შეუძლია შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით (შემდგომ - სათათბირო ორგანოები) განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროში იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო (შემდგომში - საბჭო), ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი, მე-6 პუნქტის თანახმად კი საბჭო იხილავს: ა) ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხებს; ბ) ძეგლზე და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტებზე ჩასატარებელი სამუშაოების სამეცნიერო-მეთოდურ საკითხებს; გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტებს, ისტორიული დასახლებებისათვის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხებს; დ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენისა და მათ ფარგლებში სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის საკითხებს; ე) „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 1972 წლის კონვენციით შექმნილ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (შემდგომში - მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა) შესატანად ძეგლების წარდგენის საკითხებს; ვ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განსახორციელებელ სახელმწიფო პროექტებსა და პროგრამებს; ზ) საბჭოს დებულებით მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სხვა საკითხებს. მითითებული ნორმების საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა 2007 წლის 22 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება №3/192 „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (სადავო პერიოდში მოქმედი). მითითებული ბრძანებით, ისე როგორც საკანონმდებლო აქტით, იმპერატიულად განისაზღვრა, რომ მხოლოდ საბჭოს პრეროგატივას წარმოადგენს დასკვნის საფუძველზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა, ასევე, კატეგორიის განსაზღვრა და შეცვლა. ამდენად, მართალია, მინისტრი უფლებამოსილია შექმნას კომისიები და საბჭოები გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, მაგრამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებასა და მოხსნასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო დასკვნის გაცემის უფლებამოსილება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს პრეროგატივას განეკუთვნება.

სასამართლომ განმარტა, რომ მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო იყო უფლებამოსილი ემსჯელა და მიეღო შესაბამისი დასკვნა. მინისტრის სადავო 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით ბათილად იქნა რა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგით №2042, ავტომატურ რეჟიმში განხორციელდა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა, ხოლო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის VI თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

2.16. სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებით არ დასტურდება, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეული იყო, ობიექტისათვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისას არსებობდა თუ არა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია, მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში მითითებულია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე უძრავ ძეგლებს, მათ შორის, საყდრისის უძველეს ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუთხოვია ინფორმაცია შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოდან იმის შესახებ, წარდგენილ იქნა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროში მოსაზრებანი ძეგლისთვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების მე-3 პუნქტის დავალების შესაბამისად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რამდენადაც ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს სადავო აქტი და დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის გარეშე აქტის გამოცემა წარმოადგენს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად მისი ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არსებით მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სახეზეა აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტის გამოცემისას უნდა გათვალისწინებულიყო ზემოთ მითითებული გარემოებები, რასაც შესაძლოა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება გამოეწვია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა ადმინისტრაციული ორგანოს

უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სასამართლომ, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება, ამავე კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულება დავით სახვაძისა და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულება.

2.17. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 და 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულებებთან დაკავშირებით სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მითითებული განკარგულებებით მოსარჩელებს უარი ეთქვათ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. საქართველოს მთავრობამ მიიჩნია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების გასაჩივრების ნაწილში ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირების მიერ, რაც სასამართლომ არ გაიზიარა და განმარტა შემდეგი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანებით სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებს დაევალათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველი ოქტომბერს გაუქმების მიზნით, ამასთან, კოპანია შპს „R.M.G.GOLD“-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ეწარმოებინა ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებდა ან არ შეუქმნიდა დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

დაინტერესებული მხარის ცნება უმნიშვნელოა ადმინისტრაციულ სამართალში. მისი განმარტება მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტში, რომლის თანახმად დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მორალურ ან თეორიულ ინტერესს. საგულისხმოა, რომ პირის უფლება ან ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ კანონით უნდა იქნას დაცული. სიტყვა კანონი გულისხმობს როგორც კანონს, ისე კანონქვემდებარე აქტს. ამასთან, სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ინტერესებზე. გამონაკლისი ამ წესიდან დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმებიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებული საჩივრის (სარჩელის) მატერიალური დასაშვებობის საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში - ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება განმარტებულია ორპუსის 1998 წლის კონვენციით - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომლის რატიფიცირება საქართველოს პარლამენტმა 2000 წლის 9 თებერვალს მოახდინა. აღნიშნული კონვენციის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს უფლება მიეცათ ამ საკითხებზე

სარჩელით მიმართონ სასამართლოს. კონვენციის თანახმად, განისაზღვრება ადამიანის სამი ძირითადი ეკოლოგიური უფლება, რომლებიც ყველა სხვა ეკოლოგიური უფლების რეალიზაციის საწინდარია: გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ამ სფეროებში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა. ორპუნქტის 1998 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება; ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერჯია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

სასამართლოს განმარტებით, მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობაში შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი შეეხება გარემოსდაცვით საკითხს, ხოლო კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „საზოგადოება“ ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს, „დაინტერესებული საზოგადოება“ ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

სასამართლომ განმარტა, რომ ზემოთ მითითებული ნორმების მიმოხილვა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გარემოსდაცვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების

საჯარო ხასიათს, რაც შემდგომში გარემოსდაცვის თაობაზე საჩივრის (სარჩელის) მატერიალური დასაშვებობის შემოწმების განსხვავებულ მოწესრიგებაში ვლინდება.

სასამართლომ, ზემოაღნიშნული ნორმების დებულებებისა და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანება და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იმავე საკითხზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულება დავით სახვაძისა და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულება.

3. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

3.1. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

3.2. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მიიჩნია, რომ მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო იყო უფლებამოსილი ემსჯელა და მიედო შესაბამისი დასკვნა და რომ მინისტრის სადავო 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებით ბათილად იქნა რა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების დანართი რიგით N2042, ავტომატურ რეჟიმში განხორციელდა საყდრისი-ყაჩაღიანის

უძველესი ოქროს მაღაროსათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა, რითაც დაირღვა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძვლები, რის გამოც სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სასკ-ის 32.1 მუხლი და ბათილად უნდა ეცნო კანონსაწინააღმდეგო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანება.

3.3. სასამართლომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმების დროს, გადაწყვეტილების გამოტანისას, არასწორად გამოიყენა სასკ-ის 32.4 მუხლი და საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტროს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონმდებლობით ადენილ ვადაში გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, ვინაიდან როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი და აქედან გამომდინარე, სასამართლოსაც სარჩელი ამ ნაწილში უნდა დაეკმაყოფილებინა სრულად.

### 3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

3.4. აპელანტი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> და 52-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი აქტები, გამოცემული იყო კანონის სრული დაცვით და მათი გამოცემისას არ ყოფილა უგულვებელყოფილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არც მატერიალური და არც ფორმალური კანონიერება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“, რომელსაც დაევალა შეესწავლა ობიექტისთვის

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნულ ობიექტზე ჩატარებული სამთო არქეოლოგიური კვლევები, რაც უძველესი ოქროს მაღაროს შესაძლო არსებობას დაადასტურებდა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად კი აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, ამავდროულად ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მოცემულ დანართში, ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში აღმოჩნდა აგრეთვე „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“, აპელანტი აღინიშნავს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისთვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ ძალადაკარგულ სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ დანართში მოხვედრა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების მიზნებს, რადგან ობიექტი არ წარმოადგენდა ბრძანების რეგულირების საგანს და აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობების გარეშე შეტანილ იქნა ზემოთხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აპელანტის განმარტებით, აღნიშნული ქმედება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს და დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა. შესაბამისად აშკარაა, რომ „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო დაეცვა კანონმდებლობა და ბათილად ეცნო კანონდარღვევით მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც განხორციელდა კიდევ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების გამოცემით.

3.5. აპელანტი არ ეთანხმება სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე რომ მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით და რომ მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო იყო უფლებამოსილი ემსჯელა და მიეღო შესაბამისი დასკვნა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ იმსჯელა არა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ, არამედ კომისიამ შეაფასა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელიც არსებობდა 2006 წელს, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსთვის“ ძეგლის სტატუსის მინიჭების პერიოდში. სამინისტრო ასევე არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ საკითხზე უნდა ემსჯელა და დასკვნა მოემზადებინა არა მინისტრის მიერ შექმნილ კომისიას, არამედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 22 ოქტომბრის N3/192 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების“ თანახმად, საბჭო დაკომპლექტებული იყო დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მოხსნის შესახებ დასკვნის მომზადება. ამავე დროს, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი (სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი რედაქცია) ითვალისწინებდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მოხსნას იმ შემთხვევებში თუ ის განადგურდებოდა ან ისე დაზიანდებოდა, რომ დაკარგავდა ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებებს, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით დაკარგავდა იმ ძირითად მახასიათებლებს რის გამოც მან დაკარგა ძეგლის სტატუსი. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, ძეგლისთვის სტატუსის მოხსნაზე მსჯელობდა მხოლოდ მეცნიერული, მეთოდოლოგიური კუთხით და ამზადებდა დასკვნას ძეგლის სტატუსის მოხსნაზე იმ შემთხვევაში თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი დაკარგავდა ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას. მოცემულ შემთხვევაში კი, მოხდა არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა მისი განადგურების ან დაზიანების გამო, არამედ სამინისტრომ შეაფასა იმ ადმინისტრაციული აქტის კანონშესაბამისობა, რომლის საფუძველზეც, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს“ მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი. აღნიშნული პროცედურა კი რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომლის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად,

კანონდარღვევით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის უფლება აქვს მის გამომცემ ორგანოს. აქედან გამომდინარე, იმ პირობებში როდესაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებით მოხდა უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა შესაბამისი კომისიის დასკვნის საფუძველზე, სასამართლოს მოცემულ საქმეზე უნდა მიეღოს სხვაგვარი გადაწყვეტილება და უარი უნდა ეთქვა მოსარჩელებისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

### 3. საქართველოს მთავრობის სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

3.6. სასამართლომ არასწორად მიიჩნია მოსარჩელე მხარეები დაინტერესებულ პირებად, სასამართლოს მიერ დასახელებული სამართლებრივი აქტები და მათ შესაფასებლად გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები ერთმანეთთან სრულ შეუსაბამობაშია. გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე, არასწორად განმარტა კანონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ამავე კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამასთან, ხსენებული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.

ამდენად, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლება აქვს იმ პირს, რომლის სუბიექტური უფლებაც დაირღვა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო იმისათვის, რომ განისაზღვროს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი, ანუ დაინტერესებული მხარე, აუცილებელია, რომ გასაჩივრებული აქტი გავლენას ახდენდეს მის კანონიერ უფლებებზე და ინტერესებზე და ზიანს აყენებდეს უშუალოდ მას. ამასთან, კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენება გულისხმობს იმას, რომ იგი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ადმინისტრაციული საჩივრის ავტორისათვის, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს როგორც კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი უფლებებიდან, ასევე უშუალოდ მოქმედი

სამართლებრივი ნორმებიდან, ანუ სახეზე უნდა იყოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული მხარის უფლებებისათვის ან ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი.

ამჟამად მოქმედი არც ერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს, თუმცა, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე თავად „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება, რაც არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმდაგვარად, რომ ნებისმიერ პირს გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი სამინისტროს მიერ ჩსენებულ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება.

3.7. აპელანტი განმარტავს, რომ ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი ადგენს დაინტერესებული მხარის ლეგალურ დეფინიციას, რომელიც მისი განმარტებისგან განსხვავებული რეგულაციის დადგენის შესაძლებლობას სხვა კანონებს არ უტოვებს. მიუხედავად ამისა, გაურკვეველია რაზე დაყრდნობით, სასამართლო აცხადებს, რომ ამ წესისგან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებული საჩივრები (სარჩელები). აღნიშნულით, სასამართლო თავადვე ადასტურებს რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს.

სასამართლო კონსტიტუციის 34-ე და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლებს განიხილავს, რომლებიც კულტურის განვითარებას და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებას ეხებიან, ზოლო შემდეგ აბზაცში კი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების განმარტებაზეა საუბარი, ე.წ. "ორპუსის" 1998 წლის კონვენციის მოშველიებით. სასამართლო საბოლოოდ ასკვნის, რომ საქართველოს მთავრობის მიერ განხილული საჩივრები ეხებიან გარემოსდაცვით საკითხებს, რომლის მიმართაც დაინტერესებულ პირად მოაზრებულ უნდა იქნეს დაინტერესებული საზოგადოება, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას.... მთლიანობაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დადგენილი ცნებისგან გამონაკლისს ადგენს ე. წ. "ორპუსის" კონვენცია, რაც, როგორც კონვენციის ასევე კოდექსის ნორმის არასწორ განმარტებად უნდა იქნეს მიჩნეული. კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ყოველი მხარე საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მეოთხე მუხლის მიხედვით არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან

სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის პირობები." აღნიშნული ცხადყოფს, რომ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს მხოლოდ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე მხარეებს პრობლემა არ შექმნიათ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების პროცესში, შესაბამისად, დავის საგანი აღნიშნულს არ ეხება. "ორჰუსის" კონვენციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დასაბუთება წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ეყრდნობა კანონს, რომელიც მას არ უნდა გამოეყენებინა. რაც შეეხება სამართლებრივი უსწორობების დასაწყისში აღნიშნულ, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, კერძოდ, შემთხვევას, როდესაც სასამართლო არასწორად განმარტავს კანონს, მოცემულ საქმეში წარმოადგენს ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის განმარტება, რომელსაც გამონაკლისს უწესებს სასამართლო, მაშინ, როდესაც აღნიშნული გამონაკლისის დაწესების შესაძლებლობას, თავად ნორმა არ იძლევა.

### 3. შპს „R.M.G.GOLD“ - ის სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

3.8. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. N03/133 ბრძანებით განხორციელდა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის საფუძველზე ისტორიისა და კულტურის ძეგლებად აღიარებული ობიექტებისათვის კულტურის ძეგლის სტატუსის ხელახლა მინიჭება. ამ ბრძანების დანართი მოიცავდა ათასობით ასეთ ობიექტს. მაგრამ არასდროს არცერთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მალაროდ“ წოდებული ობიექტი მანამდე არ ყოფილა აღიარებული ისტორიისა თუ კულტურის ძეგლად და შესაბამისად, 30.03.2006წ. N03/133 ბრძანების დანართში იგი არც უნდა ყოფილიყო მითითებული. ამასთან, 2006 წელს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 25.06.1999წ. კანონის მე-16 მუხლის თანახმად ობიექტს რომ მინიჭებოდა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, ის უნდა ყოფილიყო უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში და ძეგლის სტატუსი უნდა მინიჭებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის დასკვნის საფუძველზე. კანონის აღნიშნული მოთხოვნა კი საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტის მიმართ არ ყოფილა დაცული და სავსებით ცხადია, რომ ხსენებული ობიექტი 2006 წელს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანილი იქნა და უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა სრულიად დაუსაბუთებლად, შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე.

ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილების 3.1. პუნქტის 3.1.1. ქვეპუნქტში მითითებული გარემოება ვერანაირად ვერ ჩაითვლება საქმეზე დადგენილ უდავო

ფაქტობრივ გარემოებად, ვინაიდან, საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი არსებითად უკანონოდ ჰქონდა მინიჭებული.

3.9. საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს და ვერ ჩაითვლება ასევე საქმეზე დადგენილ უდავო ფაქტობრივ გარემოებად გადაწყვეტილების 3.1.2. პუნქტში მითითება იმის შესახებ, რომ „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის N665 ბრძანებულების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია. სასამართლომ შეგნებულად გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ გამოკვლეული იქნა ფაქტი იმის შესახებ, რომ ძეგლის სტატუსის მინიჭებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია არ არსებობდა. ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის 07.11.2006წ. N665 ბრძანებულებას, ამ ბრძანებულებით ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა ძალიან ბევრ ობიექტს და თუ სხვა ობიექტების მიმართ არსებობდა კომისიის რეკომენდაცია, საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია ბუნებაში არ არსებობს. უფრო მეტიც, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის N563 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა პრეზიდენტის 07.11.2006წ. N665 ბრძანებულების დანართით განსაზღვრულ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლების ჩამონათვალში და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა ჩამონათვალიდან ამოღებული იქნა მე-13 პუნქტი - საყდრისი, უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლი. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის N563 ბრძანებულება კი დღესაც ძალაშია და ის არც გასაჩივრებულია.

3.10. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. ამ თვალსაზრისით სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და არ არის განმარტებული, თუ რაში გამოიხატა მოსარჩელე მხარის გადაუდებელი ინტერესი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მიმართ.

სასამართლო დაუსაბუთებლად დაეყრდნო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად ამ კანონის ამოქმედებამდე გამოცემული სამართლებრივი აქტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანის, მათთვის ეროვნული

მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების, ძველის ნიშნის მქონე ობიექტთა სიის დამტკიცებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დამცავი ზონების დადგენის შესახებ მათი ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე ითვლებოდა ამ კანონის შესაბამისად გამოცემულად. ცხადია, რომ აღნიშნული ნორმა კანონმდებელმა გათვალისწინა იმ მოტივით, რომ 2007 წელს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ახალი კანონით ძალადაკარგულად ჩაითვალა ძველი 1999 წლის კანონი და რომ არ განმეორებულიყო 2006 წლის 30 მარტის ანალოგიური ბრძანების საჭიროება, ვიდრე ახალი კანონის შესაბამისად მოხდებოდა რეესტრში მანამდე შეტანილი ძეგლების დარეგისტრირება, ყველა აქტი, რომლითაც კანონიერად მიენიჭა ძეგლს სტატუსი, ჩაითვალა ახალი კანონის შესაბამისად გამოცემულად. მაგრამ, აღნიშნული ნორმის დანაწესი არანაირად არ ცვლის უძრავი ძეგლების რეესტრში უკანონოდ აღმოჩენილი ობიექტების სამართლებრივ ბუნებას.

3.11. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, 30.03.2006წ. N03/133 ბრძანებით საყდრისს მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი და ამ სტატუსის მოხსნა მინისტრის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე უნდა მომხდარიყო. აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს ასეთი მსჯელობა მოკლებულია სარწმუნო სამართლებრივ არგუმენტირებას. ძეგლთა ნუსხაში დაუსაბუთებლად, კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხვედრილი ობიექტის რიგითი ნომრის გაბათილება არ შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით გაუთანაბრდეს ძეგლის სტატუსის მოხსნას, ვინაიდან, სამართლებრივი შინაარსის მიხედვით ეს ორი მოვლენა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია.

პირველ შემთხვევაში, რასაც საყდრისთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი, მოხდა რა ძეგლთა ნუსხაში კანონიერი საფუძვლის გარეშე მოხვედრილი ობიექტის რიგითი ნომრის გაბათილება, ადმინისტრაციულმა ორგანომ აღმოფხვრა 28.05.2013წ. ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არანაირი ნორმა არ ზღუდავდა და უფრო მეტიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებდა კიდევ მას მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.

რაც შეეხება ისეთ სამართლებრივ მოვლენას, როგორცაა ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა, ასეთ შემთხვევას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ კონკრეტული ობიექტი ძეგლთა ნუსხაში შეტანილი იქნებოდა კანონიერად, შესაბამისი საფუძვლითა და პროცედურების დაცვით, მაგრამ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღის წესრიგში დადგებოდა კანონიერად მინიჭებული ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი. ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, იმ შემთხვევაში, თუ ძეგლი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, და მისი

აღდგენა შეუძლებელია, ან მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი. კანონი ძეგლის სტატუსის მოხსნის სხვა შემთხვევებს არც ითვალისწინებს. ამდენად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს ობიექტისათვის კანონიერად მინიჭებული ძეგლის სტატუსის მოხსნაზე და ისიც მხოლოდ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ხოლო ძეგლთა ნუსხაში ამა თუ იმ ობიექტის უკანონოდ, დაუსაბუთებლად და შესაბამისი კანონისმიერი მოთხოვნების იგნორირებით შეტანის შემთხვევებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს უფლებამოსილება და კომპეტენცია არ გააჩნია. გამოდის, რომ თუ ესა თუ ის ობიექტი შეგნებულად თუ ნებისმიერი სხვა სუბიექტური მიზეზით უკანონოდ აღმოჩნდა კულტურის უძრავი ძეგლების ნუსხაში და ამით შეიზღუდა ასეთი ობიექტის მესაკუთრისა თუ მოსარგებლის უფლებები, ვერასდროს ვერ მოხდება ასეთი ობიექტის ნუსხიდან ამორიცხვა, თუ აღნიშნულზე არ იმსჯელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა იგი განადგურდება, ან დაზიანდება ან მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით დაკარგავს ძეგლის მახასიათებლებს.

დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა გადაწყვეტილებაში იმის მითითება, რომ სამინისტროს 28.05.2013წ. N03/82 ბრძანებით სპეციალურად შექმნილ კომისიას არ ჰქონდა საყდრისი-ყაჩაღიანის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მსჯელობის უფლება, რომლის დასკვნის საფუძველზეც, გამოვლენილ ამკარა კანონდარღვევაზე რეაგირების მიზნით, გამოიცა 05.07.2013წ. N03/108 ბრძანება და 2006 წლის 30 მარტის N03/133 ბრძანების დანართის რიგითი ნომერი N2042 ბათილად იქნა ცნობილი.

აპელანტი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული კანონის ის ნორმა, რომელიც გარემოსდაცვით აქტებთან დაკავშირებულ საჩივარს (სარჩელს) მიიჩნევს კანონით გათვალისწინებულ იმ გამონაკლის შემთხვევად, რომელიც მას გამორიცხავს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებიდან (პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი დაინტერესებული პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე).

აპელანტი მიიჩნევს, რომ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორპუნქტის 1998 წლის კონვენცია არ არის შემნებლობაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება-მოხსნის საკითხთან და შესაბამისად, აღნიშნული კონვენციის საფუძველზე მოსარჩელეთა მიჩნევა დაინტერესებულ მხარედ და მათი სარჩელის დასაშვებად ცნობა სრულიად დაუსაბუთებელია.

ორპუსის 1998 წლის კონვენციის შესაბამისი მუხლების ანალიზი მხოლოდ იმ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოსდაცვით სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით, კულტურულ ობიექტებთან მიმართებაში მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია იყოს მომჩივანი მხარე, თუ რამდენად შეიძლება გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობამ ან ადმინისტრაციულმა ქმედებებმა და ღონისძიებებმა გარემოს შემადგენელი ელემენტების მეშვეობით ზეგავლენა მოახდინოს კულტურული ობიექტის მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა თუ მოხსნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ვერანაირად ვერ ჩაითვლება გარემოსდაცვით აქტად და შესაბამისად, თვით ორპუსის კონვენციის მიხედვითაც კი მოსარჩელები არ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულ მხარედ მიჩნეულნი.

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებასა და დასკვნებს, საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო პალატა ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს

შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და დამატებით აღნიშნავს:

#### ფაქტობრივი დასაბუთება

უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა 2006 წლის 30 მარტს გამოსცა ბრძანება №3/133 „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“. მითითებული ბრძანების დანართში ჩამოთვლილ ობიექტებს, მათ შორის, საყდრისი-ყაჩალიანის უძველეს ოქროს მაღაროს, მდებარე ბოლნისის რაიონში, მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში. ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას დაევალა, უმოკლეს ვადაში სამინისტროსათვის წარედგინა შესაბამისი დასკვნა დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების თაობაზე, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელებისა და დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (ძეგლებისათვის) კატეგორიის მინიჭების მიზნით გაეგზავნა ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს ბრძანების ასლი და ეთხოვათ, წარედგინათ ძეგლებისათვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე თავიანთი მოსაზრებები. ამავე ბრძანების მე-4 პუნქტის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს დაევალა მოემზადებინა დანართში ჩამოთვლილი ობიექტებისათვის (კულტურის უძრავი ძეგლისათვის) „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და „უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ფორმის, მათი შევსების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის მინისტრის 2003 წლის 22 ივლისის ბრძანებით გათვალისწინებული სააღრიცხვო დოკუმენტაცია (ტ-2; ს.ფ. 299-308) .

4.2. „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე საყდრისს, უძველესი ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს, აგების თარიღი ძვ.წ.აღ. 3018-2929წწ. მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია. მითითებული ბრძანებულების გაამოცემის სამართლებრივი საფუძველია „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაცია (ტ-2; ს.ფ. 18-19).

4.3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა 2006 წლის 17 ივლისს გამოსცეს ერთობლივი ბრძანება №3/225-№1-1/616 „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“. მითითებული ბრძანებით დამტკიცდა დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა (ტ-2; ს.ფ.466).

4.4. 2013 წლის 26 აპრილს კომპანია „R.M.G.GOLD“-მა 034/13 განცხადებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და ითხოვა, დავალებოდა შესაბამის უწყებებს, მომხდარიყო საყდრისის ძეგლის გადატანა. ამასთან, კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას, თავისი სახსრებით განეზოვებებინა ძეგლის გადატანა იმგვარად, რომ არ დაკნინებოდა ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულება. მითითებული განცხადების საფუძველზე, საქართველოს პრემიერ მინისტრის 2013 წლის 1 მაისის №14962 რეზოლუციით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს დაევალა განცხადების განხილვა და შემდგომი რეაგირების უზრუნველყოფა. მითითებული განცხადება სამინისტროში დარეგისტრირდა 2013 წლის 2 მაისს (ტ-1; ს.ფ.40-41).

4.5. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 28 მაისს გამოსცა ბრძანება №03/82 „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“. მითითებული ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და მისი გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციის შემუშავების მიზნით, შეიქმნა კომისია და განისაზღვრა მისი შემადგენლობა (ტ-1; ს.ფ.30).

4.6. „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების ნაწილის ბათილად ცნობის თაობაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის

რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი). მითითებული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს და სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს დაევალა უზრუნველყოთ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა უნდა განხორციელებულიყო 2013 წლის 15 სექტემბრამდე (ტ-1; ს.ფ.29).

4.7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 8 აგვისტოს გამოსცა ბრძანება №03/130 „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. მითითებული ბრძანების თანახმად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა განხორციელებინა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგი და ამ მიზნით ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში შეექმნა სათანადო კომისია, რომლის ხელმძღვანელიც შეირჩეოდა კომპანია „R.M.G.GOLD“-ის მიერ წარდგენილი კანდიდატურებისაგან, ასევე, სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით. ამავე ბრძანებით, კომპანია „R.M.G.GOLD“-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ეწარმოებინა ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებდა, ან არ შეუქმნიდა დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს (ტ-1; ს.ფ.116).

4.8. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“, დავით სახვაძემ და სხვებმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს საქართველოს მთავრობას და მოითხოვეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობა. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა (ტ-1; ს.ფ.91-100; 102-106).

4.9. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივამ“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობა (ტ-1; ს.ფ.117-119).

4.10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე ეთქვა უარი (ტ-1; ს.ფ.122-124).

4.11. დავით სახვაძემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოითხოვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობა (ტ-1; ს.ფ.125-126).

4.12. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავით სახვაძეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე ეთქვა უარი (ტ-1; ს.ფ.128-129).

4.13. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულებით გაუქმდა „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის №3/225-№1-1/616 ერთობლივი ბრძანების მე-2 პუნქტი (დაბა საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა) და მისი დანართი 2 (ტ-1; ს.ფ.130).

4.14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 იანვრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქმეში ჩართულია მესამე პირად (ტ-3; ს.ფ.132).

#### სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

4.15. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების თანახმად, იგი გამოცემულია იმ საფუძველით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, რომლის 77-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რის შედეგადაც ნორმატიული აქტების შესახებ 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1997 წლის „ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“

საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვით კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული მხატვრული და კულტურული ღირებულება, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს სსრ 1997 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“, საქმის მასალებით დასტურდება ის გარემოება, რომ „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მადარო არ ყოფილა გამოცხადებული ისტორიისა და კულტურის ძეგლად (პალატა მიუთითებს მხარეთა ახსნა-განმარტებებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 6 მაისის N339, 1983 წლის 27 აპრილის N274, 1985 წლის 20 მარტის N179, 1986 წლის 14 ნოემბრის N706, 1989 წლის 5 მაისის N212 დადგენილებებზე. იხ. ტომი მე-2 ს.ფ. 345-433 ).

#### სამართლებრივი დასაბუთება

4.16. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

4.17. გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებასაქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულება დავით სახვამისა და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში; ასევე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ; საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება დავით სახვამის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ და

4.18. პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის (არქიტექტურული, ისტორიული არქეოლოგიური და სხვა) მოძრავი ან უძრავი ობიექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 თავით მოწესრიგებულია კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვის, კლასიფიკაციის, მისთვის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხები. კერძოდ, კანონის მე-15 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების თანახმად, ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან; ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ენიჭება საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით. ამავე კანონის (სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დროს მოქმედი) მე-17 მუხლის თანახმად, ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე (გარდა ამ კანონის V<sup>1</sup> თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა), იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან ისე დაზიანდა, რომ დაკარგა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომლის აღდგენა შეუძლებელია, ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიური) კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი. აქვე, სააპელაციო პალატა მიუთითებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც საბჭოს გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

4.19. ზემოთ აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება და მოხსნა ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დასკვნის საფუძველზე. ორივე შემთხვევაში, კანონით გაწერილია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ უნდა შეისწავლოს კონკრეტული საკითხი და მიიღოს შესაბამისი დასკვნა. ამგვარად, კონკრეტული ობიექტს გააჩნია თუ არა ისტორიული ან კულტურული ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან; ასევე, დაკარგული აქვს თუ არა ეს მახასიათებლები ფიზიკური დაზიანების საფუძველზე ან მეცნიერული კრიტერიუმების შესაბამისად, ამ საკითხების განხილვა-შეფასება წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს კომპეტენციას და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი (იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი არ მდებარეობს ქ. თბილისის ტერიტორიაზე).

4.20. საქმის მასალებით დადგენილია, რომ „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს, მდებარე ბოლნისის რაიონში, მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი და შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში. ხოლო, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებით „კულტურის ზოგიერთი უძრავი ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საყდრისს, უძველეს ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლს, რომლის აგების თარიღად მითითებულია ძვ.წ. აღ. 3018-2929 წელი, მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

4.21. საქმეზე ასევე დადგენილია, რომ „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღარო არ იყო შეტანილი სახელმწიფოს მიერ დაცულ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სიაში და 2006 წლამდე, მას არ ჰქონია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

4.22. საქმის მასალების თანახმად, გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანებას, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი N2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი), საფუძველად დაედო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნა, რომლის თანახმად, საყდრისის ე.წ. „უძველესი ოქროს მაღაროსათვის“ კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის და შემდგომ „ეროვნული კატეგორიის“ მინიჭება მოხდა სათანადო სამეცნიერო და იურიდიული საფუძვლების გარეშე, კანონმდებლობის უხეში დარღვევით.

4.23. პალატა მიუთითებს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ

კომისია შეიქმნა შემდეგი მიზნებით: კომისიას დაევალოს დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა და ძეგლის გადატანისათვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება.

4.24. სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიითითებას იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ იმსჯელა არა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ, არამედ კომისიამ მხოლოდ შეაფასა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელიც არსებობდა 2006 წელს, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალაროსთვის“ ძეგლის სტატუსის მინიჭების პერიოდში. სააპელაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნაზე, რომლითაც დასტურდება, რომ კომისიამ შეისწავლა როგორც ობიექტისათვის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საკითხები, ასევე, მის მიერ შეფასებული იქნა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალაროს კულტურული ღირებულება. კერძოდ, კომისიამ შეაფასა საყდრისის ძველ სამთო გამონამუშევრებში ოქროს მოპოვების თაობაზე არსებული კონცეფცია გეოლოგიურ, სამთო და ტექნოლოგიური კუთხით და გააკეთა შემდეგი დასკვნები: „საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე უძველესი ძველი წელთაღრიცხვის მე-4 ათასწლეულიდან მესამე ათასწლეულის პირველ ნახევრის ჩათვლით, ოქროს სამთო წესებით მომპოვებელი მალარო არგუმენტების არქონის გამო, არ დასტურდება: თუმცა, ამ ხანის არქეოლოგიური არტეფაქტები დადასტურებულია, რაც საზოგადოდ არქეოლოგიური ობიექტის არსებობას ადასტურებს“, ასევე კომისიამ მიუთითა, რომ: „გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება. შესაბამისად, საყდრისის უძველესი ოქროს მალარო სინამდვილეში ჩვეულებრივი ძველი სპილენძის მალაროა, რომელიც მრავლად არის დაფიქსირებული საქართველოში და ამ მხრივ უნიკალურ მოვლენას წამდვილად არ წარმოადგენს“. საბოლოოდ, კომისიამ დაასკვნა, რომ „საკვლევი ობიექტის, როგორც უძველესი ოქროს მალაროს და შესაბამისად, როგორც უნიკალური ძეგლის განხილვა, საფუძველს მოკლებულია“ (კომისიის დადგენილებითი ნაწილის მეორე პუნქტის ბოლო წინადადება).

4.25. სააპელაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-აქტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებას საფუძველად დაედო 2013 წლის 28 მაისის კომისიის დასკვნა, რომლითაც დადგინდა რომ საყდრისის უძველესი ოქროს მალაროს კანონით გათვალისწინებული პროცედურების

გაუვლელად მიენიჭა ძეგლის სტატუსი, ამასთან კომისიამ შეაფასა სადავო ობიექტის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კულტურული და ისტორიული ღირებულება და მივიდა დასკვნამდე, რომ საყდრისის უძველესი ოქროს მალაროს არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობისათვის კანონით გათვალისწინებული მახასიათებლები.

4.26. აპელანტი ადმინისტრაციული ორგანოები აპელირებენ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის 28 მაისის ბრძანებით შექმნილ კომისიას არ განუხილავს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის საკითხი. ამასთან, სამინისტროს პოზიცია არის იმგვარი, რომ მის მიერ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესამე ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება (დანართის რიგითი 2042) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც კანონით გათვალისწინებული პროცედურების გაუვლელად მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი საყდრისი-ყაჩაღიანის ოქროს მალაროს. პალატა, აპელანტების ყურადღებას გაამახვილებს ზემოთ მითითებულ კომისიის დასკვნაზე, რომელზე დაყრდნობითაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოსცა გასაჩივრებული 2013 წლის 5 ივლისის ბრძანება #3/108 და მიუთითებს, რომ კომისიამ იმსჯელა საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის ირგვლივ და მიიჩნია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი ოქროს მალაროს არსებობის დასაბუთება შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი, მასალები ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მალაროს არსებობას. კომისიის აზრით, ეს გამონამუშევრები უკავშირდება სპილენძის მადნის მცირე მასშტაბის მოპოვებას ადრეულ, ბრინჯაოს ხანაში.

4.27. ამგვარად, პალატა აპელანტების საქართველოს მთავრობის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და შპს „RMG GOLDI“ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შეაფასა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალაროს კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები, ამასთან, ეჭვქვეშ დააყენა საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი ოქროს მალაროს არსებობა და დაასკვნა, რომ „საკვლევო ობიექტის, როგორც უძველესი ოქროს მალაროს და შესაბამისად, როგორც უნიკალური ძეგლის განხილვა“ საფუძველს მოკლებულია.

4.28. პალატა ყურადღებას ამახვილებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებზე, რომლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამინისტროში იქმნება

მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო. საბჭო დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი. საბჭო იხილავს: ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის, ასევე ძეგლის კატეგორიის განსაზღვრისა და შეცვლის საკითხებს; საბჭოს გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. ასევე, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 22 ოქტომბრის №3/192 ბრძანებით დამტკიცებული „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესახებ“ დებულების პირველი მუხლის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო არის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სათათბირო ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით. ამავე დებულების მე-2 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო შედგება შემდეგი დარგობრივი სექციებისაგან: ა) წინარექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სექცია; ბ) ურბანული მემკვიდრეობის სექცია; გ) მონუმენტური სახვითი ხელოვნების სექცია; დ) კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლებისა და კულტურულ ფასეულობათა სექცია; ე) არქეოლოგიური სექცია; ვ) სტრატეგიული და მეთოდოლოგიური საკითხების სექცია.

4.29. ამდენად, ძეგლის რაობის განსაზღვრის უფლებამოსილება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს უფლებამოსილებას და მისი დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალაროს, როგორც კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მონაცემების შეფასება მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულების განსაზღვრის მიზნით, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს უფლებამოსილებას, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით.

4.30. აქვე, სააპელაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს მიმოიხილოს საყდრისის უძველესი ოქროს მალაროსათვის კულტურული ძეგლის სტატუსის მოხსნის პერიოდისათვის მოქმედი სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა. მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი განასხვავებს შემდეგ ცნებებს „კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია“ და „ძეგლების სახელმწიფო რეესტრი“. „კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია“ წარმოადგენს ნუსხას, რომელშიც საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტით ობიექტი შეიტანება იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის სრულყოფილი განსაზღვრა ან როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ

ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს.

4.31. ამაჟამად მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით იქმნება ძეგლების სახელმწიფო რეესტრი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია, სააღრიცხვო ბარათი და ძეგლის პასპორტი; ძეგლების სახელმწიფო რეესტრსა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიას აწარმოებს სამინისტრო. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, სააღრიცხვო ბარათი არის ძეგლის ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ზოგადი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი; კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ სამინისტრო უფლებამოსილია შეადგინოს ძეგლის პასპორტი. ძეგლის პასპორტი არის მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ძეგლთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით ინფორმაციას.

4.32. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მალარო შეტანილი იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახელმწიფო რეესტრში. პალატის მოსაზრებით, იმ ვითარებაში, როცა სამინისტროს მიერ, ექვტვემ იქნა დაყენებული საყდრისის უძველესი ოქროს საბადოს, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია მისი ყოველგვარი სამართლებრივი რეგულაციების მიღმა დატოვებაზე, ვინაიდან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი ცალსახად ადგენს, რომ თუ ვერ ხერხდება ობიექტის სრულყოფილი განსაზღვრა, იგი უნდა იქნეს შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში და ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტისათვის მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, მისი სახეობის, მნიშვნელობის, მდგომარეობის, ისტორიული ან კულტურული ღირებულებისა და კატეგორიის განსაზღვრისათვის შესაბამისი დასკვნის მიღების მიზნით, ობიექტის თაობაზე მონაცემებს წარუდგენს საბჭოს; თუ სათანადო კვლევების შედეგად დადგინდება, რომ არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ამ კანონით განსაზღვრული საფუძვლები, საბჭოს დასკვნის საფუძველზე მინისტრი უფლებამოსილია ამორიცხოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიიდან ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი (6 თვიანი) ვადის გასვლამდე.

4.33. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების

თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო: ზედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შეიმუშავებს და წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს; ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, დაცვას, პოპულარიზაციას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას; უზრუნველყოფს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტიზასა და სახელმწიფო აღრიცხვას, ადგენს შესაბამის წესებს;

4.34. სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების პროცედურების დარღვევა, ცალსახად არ გულისხმობს იმას, რომ სადავო ობიექტს არ გააჩნია კანონით გათვალისწინებული ძეგლის მახასიათებლები. მიუხედავად საქმეზე დადგენილი გარემოებებისა, რომ „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის მოქმედების პერიოდში საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადარო არ ყოფილა გამოცხადებული ისტორიისა და კულტურის ძეგლად და ასევე, 2006 წელს, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროსათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხი არ განუხილავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიას, როგორც ამას ითვალისწინებდა იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი სტატუსის გარეშე დატოვებაზე. სააპელაციო პალატა მიუიბიძგებს „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის საფუძველზეც სამინისტროს ფუნქციონალურ ვალდებულებებს წარმოადგენს: კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, დაცვა, პოპულარიზაცია და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმება; გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტიზისა და სახელმწიფო აღრიცხვის უზრუნველყოფა. იმ ვითარებაში, როცა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სადავო გახადა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროს“ შეტანა, იმ საფუძველით, რომ საამისოდ არ არსებობდა კანონისმიერი წინაპირობები, ამავე სამინისტრომ, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით არ გამოიკვლია და შეფასების გარეშე დატოვა მთავარი საკითხი: გააჩნია თუ არა სადავო ობიექტს კულტურული ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან.

4.35. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე ნიშანდობლივია საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ საქართველოს კულტურისა და

ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების გამოცემისას, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოს არ გამოუკვლევია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის რეკომენდაციის არსებობის საკითხი, რომელიც საფუძველად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებას „საყდრისის უძველეს ოქროს სამთამადნო მრეწველობის ძეგლისათვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების შესახებ“. კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუთხოვია ინფორმაცია შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოდან იმის შესახებ, წარდგენილ იქნა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროში მოსაზრებანი ძეგლისთვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების მე-3 პუნქტის დავალების შესაბამისად.

4.36. საპელაგიო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის საფუძველზე, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამოცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება დავის განხილვისას, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

4.37. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევის გარეშე აქტის გამოცემა წარმოადგენს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად მისი ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არსებით მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სახეზეა აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სადავო აქტის გამოცემისას უნდა გათვალისწინებულიყო ზემოთ მითითებული გარემოებები, რასაც შესაძლოა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება გამოეწვია.

4.38. ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს სადავო აქტი და დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება, რამდენადაც ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სადავო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისს №03/108 ბრძანება გამოიყენა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უნდა შეასრულოს ზემოთ აღნიშნული მითითებები, რის შემდეგაც უნდა გამოსცეს ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4.39. აქვე, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული და მეთოდოლოგიური სექციის 2014 წლის 27 იანვრის N2 სხდომის ოქმზე, რომელიც მიღებულია გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ და რომლის თანახმადაც დგინდება, რომ წარმოდგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე მდებარე არქეოლოგიური ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება და ძეგლის საზღვრების საბოლოო დაზუსტება (ტ-2; ს.ფ. 261-264). პალატა, ავლავ მიუთითებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც საბჭოს გადაწყვეტილებები მინისტრისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, რომელიც მას ეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო დასკვნა თავისთავად არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს. მინისტრი გადაწყვეტილებას იღებს დისკრეციის ფარგლებში, იგი მოქმედებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონისა და სპეციალური მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გაიზიარებული შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ გაკეთებული სარეკომენდაციო ხასიათის დასკვნა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

მინისტრის გადაწყვეტილება უნდა იყოს მყარად დასაბუთებული, არგუმენტირებული და უნდა გააზიარდეს საბჭოს დასკვნაში მოყვანილი არგუმენტები და ფაქტები. აქვე სასამართლო განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას, სასამართლო იკვლევს რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგენა-შეფასებას. სასამართლო ამოწმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კანონიერება-დასაბუთებულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე ვრცელდება იმ მასშტაბით, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო გადაწყვეტილებაში გამოყენებულია თუ არა საკითხის გადაწყვეტის ყველაზე მისაღები საშუალება და დასაბუთებულია თუ არა გამოყენებული ღონისძიებების ყველაზე მისაღები ხასიათი შესაძლო ალტერნატიულ ღონისძიებებთან შედარებით. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ არსებით მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სახეზეა აქტის გამოცემა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც ადმინისტრაციულ ორგანოსათვის ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს წარმოადგენს. 'ზემოთ მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტ „მწვანე ალტერნატივას“ სააპელაციო საჩივრის მოსაზრებას, გასაჩივრებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

4.40. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამცავი ზონის დადგენის მიზნებია: მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის, ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხელებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას. ამავე კანონის მე-40 მუხლის თანახმად, არქეოლოგიური დაცვის ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილი, დაფიქსირებული ან დაზვერილია კულტურული ფენები ან/და არქეოლოგიური ობიექტები; არქეოლოგიური დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში

არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ფენების, გამოვლენილი ან დაზვერილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფა; არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას, მათ შორის: ა) მიწის სამუშაოები, გარდა სასოფლო-სამეურნეო და არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისა; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნარჩენების, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების დროს დაგროვილი ფუჭი ქანების დაყრა.

4.41. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების სადავო საკითხის გადაუჭრელად ბათილად ცნობისა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მადაროსათვის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სტატუსის შესახებ დასაბუთებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების პირობებში, სააპელაციო პალატა ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა კომისიის შექმნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით და „R.M.G.GOLD“-ს მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ეწარმოებინა ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებდა, ან არ შეუქმნიდა დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს და ასევე მართებულად იქნა დაკმაყოფილებული მწვანე ალტერნატივასა და დავით საზვადის სარჩელი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №1436 განკარგულების, რომლითაც გაუქმდა „გონიო-აფსაროსის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის არქეოლოგიური ზონისა და დაბა საყდრისში, სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონის დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 17 ივლისის №3/225-№1-1/616 ერთობლივი ბრძანების მე-2 პუნქტი (დაბა საყდრისში სამთამადნო მრეწველობის ძეგლის არქეოლოგიური ზონა) და მისი დანართი 2, ბათილად ცნობის ნაწილში, აღნიშნულ ნაწილში იგი საფუძვლიანია, რადგან ადგილი აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას; გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და

წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

4.42. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება განმარტებულია ორპუსის 1998 წლის კონვენციით - „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, ორპუსის 1998 წლის კონვენციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება; ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერჯია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას; გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მემკვიდრეობით ზემოთ ბ)

ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები. კონვენციის თანახმად, განისაზღვრება ადამიანის სამი ძირითადი ეკოლოგიური უფლება, რომლებიც ყველა სხვა ეკოლოგიური უფლების რეალიზაციის საწინდარია: გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ამ სფეროებში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან, ამ კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, "საზოგადოება" ნიშნავს ერთ ან ერთზე მეტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს და ეროვნული კანონმდებლობის და ქმედებების შესაბამისად მათ ასოციაციებს, ორგანიზაციებს ან ჯგუფებს. "დაინტერესებული საზოგადოება" ნიშნავს საზოგადოებას, რომელსაც ეხება ან შესაძლოა შეეხოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღება ან რომელიც დაინტერესებულია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით; არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვას და პასუხობენ ეროვნული კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, განიხილებიან, როგორც დაინტერესებული სუბიექტები.

4.43. აპელანტი საქართველოს მთავრობა აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ არც ერთი მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი არ ითვალისწინებს, სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით, ასევე თავად „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ფიზიკურ და იურიდიულ პირების უფლება, ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება. სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის ზემოთ მითითებულ არგუმენტაციას და პალატა განმარტავს, რომ დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან რეალაქტი (სზაკ-ის 2.1 მუხ „ბ“ ქვეპუნქტი). განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ გარემოსდაცვის (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო ხასიათიდან გამომდინარე, გარემოსდაცვის თაობაზე წარდგენილი საჩივრის შემთხვევაში, სახეზეა (სარჩელის) მატერიალური დასაშვებობის შემოწმების განსხვავებული მოწესრიგება, რაც გულისხმობს, რომ მწვანე ალტერნატივა და დავით სახვაძე წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს, ანუ იმ პირებს, რომელთა უფლებებსა და ინტერესებსაც ხელყოფს ადმინისტრაციული ორგანო და მათ გააჩნიათ კანონიერი უფლება და ინტერესი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობაზე.

4.44. სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამართლებრივ შეფასებებსა და დასკვნებს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს მთავრობაში „მწვანე ალტერნატივას“ და დავით სახვაძის მიერ შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით, შეეხება გარემოსდაცვით საკითხს, რაც უნდა განმარტებულ იქნეს იმდაგვარად, რომ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, ნებისმიერ პირს (საქართველოს მოქალაქეს) გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი სამინისტროს მიერ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება.

4.45. ზემოთ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად სცნო ბათილად საქართველოს მთავრობის 2013 წლის 3 ოქტომბრის №1430 განკარგულება დავით სახვაძისა და ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1433 განკარგულება ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 ოქტომბრის №1435 განკარგულება დავით სახვაძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში მოცემული კონკრეტული მოწესრიგება არ შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს. შესაბამისად, სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

## 5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

## 6. საპროცესო ხარჯები

6.1. აპელანტების - შპს „R.M.G.GOLD“-ის და ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300 (150+150) ლარი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე, აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 300 (სამასი) ლარი

ჩაითვალოს სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში გადახდილად.

6.2. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, აპელანტები - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს მთავრობა განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

### სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ და ა დ გ ი ნ ა:

1. აპელანტების ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს მთავრობისა და შპს „R.M.G.GOLD“-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე

თბილისი

თეა ძიმიტარაშვილი

მოსამართლეები

ირაკლი შენგელია

თეა თადაშვილი